პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას

ნინო გოგნიაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სისხლის სამართლის საქმის სრულფასოვნად გამოძიება, საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმასა და ჩატარებაზე არის დამოკიდებული. მათ შორის რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაც, რომლის გარეშეც ფაქტობრივად შეუძლებელია, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა. თუმცა, ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, გარკვეულწილად დაკავშირებულია ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან, მით უმეტეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასთან, რომლის ჩატარებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა არის საჭირო. აღნიშნული საკითხების აქტუალობამ განაპირობა - იმ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება ჯერ კიდევ 2014 წელს, რომელიც კანონმდებლობის დახვეწას ისახავდა მიზნად, სადაც ძირითადი აქცენტი სწორედ ადამიანის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევის აკრძალვისაკენ იყო მიმართული და აღნიშნული დღემდე ეტაპობრივად გრძელდება. ასევე, აქცენტი კეთდება კონტროლის იმ მნიშვნელოვანი მექანიზმის შერჩევაზე, რომელიც განაპირობებს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცულობისათვის საჭირო და ეფექტური კონტროლის მექანიზმის შერჩევას.

ნაშრომში განხილულია ფარული საგამოძიებო მოქმედების მნიშვნელობა, მისი ისტორიული წინაპირობები და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და კონტროლის მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ადამიანის უფლებები, პირადი ცხოვრება.

Guarantees for Protection of Inviolability of Private Life during Conduct of Covert Investigation Activities

Nino Gogniashvili, Associate professor
David Agmashenebeli University of Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Abstract

A thorough investigation of the criminal case is largely dependent on correct planning and conducting of investigation activities. This includes, in some cases, covert investigation activities, without which, it is practically impossible to find circumstances surrounding the case. However, any investigation activities are somehow related to the restriction of human rights, specifically, restriction of the privacy rights: conducting such investigation activities is allowed only when there is a legitimate objective to be achieved in the democratic society, prescribed by the constitution. The relevance and applicability of these issues triggered the drafting of legislative amendments back in 2014, which aimed at enhancing the legislation, focusing on the prevention of unlawful interference in privacy rights and this precess is still ongoing today. Furthermore, the emphasis is made on selecting the important mecganism for control, which can ensure the protection of the private lives of humans. the paper discusses the significanceof covert investigation activities, historical developments, and the pros and cons of the mentioned legislative amendments and mechanisms for control.

Keywords: Undercover investigative activities, human rights, private life.

I.შესავალი

თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელიც დემოკრატიულ საწყისებზეა დამყარებული, მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულების სისტემა თამაშობს. დღესდღეობით, მართლმსაჯულების ინსტიტუტების გაძლიერება უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდება როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის, ისე საერთაშორისო აქტორებისათვის. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმისა და განმტკიცების პროცესის მიმართ მზარდი ინტერესისა და ჩართულობის კონტექსტში, განვითარების, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა, რომელშიც მნიშვნელოვან როლს მოქალაქეთა მიერ მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე წვდომა წარმოადგენს, რათა მათ შეძლონ თავიანთი მოთხოვნის სამართლებრივი დაკმაყოფილება და კონფლიქტების გადაჭრა.

დემოკრატიულ საწყისებზე დამყარებულ თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში, მოსამართლე მართლმსაჯულებას ახორციელებს იმ მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე, რომლის მოპოვებაც საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარების შედეგად ხდება. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში

მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული და დაცული იქნეს ადამიანის ძირითადი უფლებები. ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია თავისი ღირსებითა და უფლებებით, რომელიც აღიარებული და უზრუნველყოფილია საერთაშორისო კონვენციითა და დეკლარაციებით. მათ შორის აღსანიშნავია, გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია'', ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ'', ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია, 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული გაეროს ორი პაქტი - "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" და "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების" შესახებ, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები, აღიარებს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს. აღნიშნულ უფლებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირადი ცხოვრების უფლებას. საქ. კონსტიტუციის 15-ე მუხ.(1) იცავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც თავისი არსით, ბუნებრივია ცდება კონსტიტუციის ერთი კონკრეტული მუხლის ფარგლებს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომ პირადი ცხოვრების უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობა მის მრავლისმომცველობასთანაა დაკავშირებული და მისი ყველა ასპექტის წინსწრებად ჩამოთვლა შეუძლებელია.

პიროვნების განვითარების უფლების შემადგენელი ნაწილია ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი უფლება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ინდივიდის ცხოვრების კერძო, სოციალურ და ინტიმურ სფეროებს.(2) ხოლო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კი გულისხმობს, ინდივიდის შესაძლებლობას ცხოვრობდეს საკუთარი შეხედულებისამებრ და დაცული იქნეს თავის კერძო სფეროში სახელმწიფოსა და სხვა პირების ჩარევისგან. ის იცავს ადამიანის არჩევანს, იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობაში და საკუთარი ცხოვრების წესის არჩევაში. თუმცა, არსებობს გამონაკლისი გარემოებებიც, როდესაც ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს კონსტიტუციური მიზნების მისაღწევად იქნება აუცილებელი და ამავდროულად პროპორციული. (3) ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომლის გამოყენებაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში არის შესაძლებელი, მაგალითად, მხოლოდ მას შემდეგ, თუ მისი ჩატარება, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი პირობაა, ერთ-

ერთი შემდეგი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად: ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად; საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; უწესრიგობის პრევენციის მიზნით; დანაშაულის თავიდან ასაცილებლად; ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დასაცავად; სხვა პირთა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად. (4) თითოეული ფაქტორი უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

II. ისტორიული ასპექტები

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, თუმცა, ცნობილია, რომ ის მანამდის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შემადგენელი ნაწილი იყო. კონსპირაციული, ფარული მეთოდები ოდითგანვე უსაფრთოხების უზრუნველყოფის მიზნით ხელისუფლების ხელში არსებულ მნიშვნელოვან და ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენდა. (5) ისტორიულად ცნობილია, რომ სახელმწიფოს კონსპირაციული, მსტოვრობად მოხსენიებული საქმიანობა წარმატებით გამოიყენებოდა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მეფობის დროს. (6) მან მანამდე უყურადღებოდ მიტოვებული მსტოვრობის საქმე ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით, ძლიერ მექანიზმად აქცია. არც ერთ მის წინამორბედს თუ მემკვიდრეს მსტოვრებისადმი ისეთი ყურადღება არ გამოუჩენია, როგორსაც დავით აღმაშენებელი იჩენდა. მან შექმნა სისტემა, რომელშიც ჩართული იყო საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მათ შორის არაქართველებიც. ამ საქმეში ყველას თავისი ფუნქცია და როლი ჰქონდა. აღმაშენებლის ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასა და წარმატებას მსტოვართაგან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი ედო საფუძვლად. (7) მათ უნდა დაეფიქსირებინათ სელჩუკ მომთაბარეთა საქართველოს საზღვრებთან ყოველი გადაადგილება. გარდა ამისა თვალყური ედევნებინათ მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო პირებისთვისაც. რაც შეეხება მოგზაურებს, მისიონერებს (იერუსალიმის ან მექას მომლოცველებს), ელჩ-დიპლომატებსა თუ ვაჭრებს, რომლებიც ძირითადად არაქართველები (სომხები, მუსლიმები და ებრაელები) იყვნენ, მათ საქართველოს ფარგლებს გარეთ საინტერესო ინფორმაცია უნდა მოეძიებინათ და დროულად მიეწოდებინათ მეფისათვის. კერძოდ, მათ ევალებოდათ უცხო ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო დაზვერვა. ჯაშუშებისა და მოენეების შიშით ქვეყანაში თანდათან ისეთი წესრიგი დამყარდა, რომ ვერავინ ბედავდა „განდრეკილად სვლას“. მსტოვრები მარტო ინფორმაციებს კი არ მოიპოვებდნენ, არამედ კონკრეტული დავალებების შესასრულებლად „სპეცოპერაციებსაც“ გეგმავდნენ და ახორციელებდნენ.

დავით აღმაშენებელმა მსტოვართა უდიდესი ქსელი შექმნა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც — ინდოეთიდან ევროპამდე.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა მიდგომებიც და ინსტიტუტებიც, რომელთა ფუნქციასაც ანალოგიური მოქმედებების განხორციელება წარმოადგენდა. აქტუალური გახდა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხის გადაწყვეტაც, რაც 1921წლის კონსტიტუციაშიც აისახა. კერძოდ, მასში მითითებული იყო, რომ „ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი ჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია, მისი გამოხმობა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით." (7) თუმცა, რეალობა არსებითად შეიცვალა საბჭოთა კავშირის პერიოდში. აღნიშნულ ღონისძიებებს საბჭოთა უშიშროების გარკვეული დანაყოფები ანხორციელებდნენ, საკანონმდებლო საფუძველს კი წარმოადგენდა სამსახურებრივი ინსტრუქცია, მითითებები, მკაცრად გასაიდუმლოებული უწყებრივი ნორმატიული აქტები, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა. აღნიშნულზე კონტროლს კი, არც ერთი უწყება არ ანხორციელებდა. კონტროლის მექანიზმი არ არსებობდა შემდგომ პერიოდშიც, თუნდაც მაშინ, როდესაც მის წინაპირობად სასამართლოს გადაწყვეტილება გახდა საჭირო.

1995 წელს საქართველომ მიიღო კონსტიტუცია. 1998 წლის 20 თებერვალს კი,ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელშიც კვლავ არ მოხვდა ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებები. ეს სფერო კვლავ მკაცრად გასაიდუმლოებული უწყებრივი ნორმატიული აქტებით რეგულირდებოდა (9) და არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოაწესრიგებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას. 1999 წლის 30 აპრილს მიღებული იქნა კანონი ოპერატიულ - სამძებრო საქმიანობის შესახებ. ამ კანონის მიღებაზე მომუშავე იურისტების მიზანი იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს შესაძლო თვითნებური ჩარევისგან და ამავდროულად, საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობის ხელშეწყობა.

საბოლოოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებები სისტემურად გაიმიჯნა ოპერატიული საქმიანობისაგან და ჩამოყალიბდა მათი რეგულირების დამოუკიდებელი ბაზა.

III. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები

ადამიანის უფლებებისა და კერძოდ, მონაცემთა დაცვის კუთხით ევროპას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. მისი სტანდარტები - ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციას, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ეფუძნება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მიიღო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რეზოლუცია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში მითითებული პირადი მონაცემების დაცვის შესახებ. 1981 წელს ასევე მოეწერა ხელი კონვენციას პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ. რომელიც ერთადერთ საერთაშორისო ინსტრუმენტად რჩება სავალდებულო ძალის მქონე მონაცემთა დაცვის სფეროში. აღნიშნული ვრცელდება მონაცემთა დამუშავების ყველა სახეზე - როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, ასევე სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებში. ის იცავს ადამიანის უფლებებს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული დარღვევებისგან.

კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი ინტერესი, როგორიცაა სახელმწიფო უსაფრთხოება და თავდაცვა. კონვენცია არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას ECtHR–ს მიერ, თუმცა პრეცედენტული სამართალი ამ სასამართლოს ითვალისწინებს ევროპული კონვენციის მე – 8 მუხლის კონტექსტში. 2011 წელს კი, ჩატარებულმა საზოგადოებრივმა კონსულტაციებმა ხელი შეუწყო ციფრულ არენაზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და გააძლიერა კონვენციის განხორციელების შეფასების მექანიზმი. კონვენციამ გაზარდა პერსონალური მონაცემების დამუშავების ინსტიტუტების პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, განახლებული კონვენცია ხაზს უსვამს საზედამხედველო ორგანოების უფლებამოსილების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას, ფუნქციების და მისიის უფრო ეფექტურ შესრულებას. გაეროს სამართლებრივი ჩარჩო კი, პერსონალურ მონაცემთა დაცვას ფუნდამენტურ უფლებად არ მიიჩნევს. კერძოდ, მე-12 მუხლი, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას ეხება არის პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომლითაც განისაზღვრა, რომ ადამიანს აქვს უფლება, დაიცვას თავისი პირადი სივრცე, როგორც სხვა პირების, ისე, სახელმწიფოს ჩარევისგან. (10) აღნიშნულს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი სტატუსი აქვს, თუმცა, სავალდებულო იურიდიული ძალა არ გააჩნია. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპაში ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების შექმნაზე. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ კი (ICCPR),

აცხადებს, რომ „არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებლის ან კორესპონდენციის ხელშეუხებლობაში თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას“. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების განვითარებამ ზოგიერთ სახელმწიფოში წარმოქმნა არაერთი პრობლემა, რომელიც მასობრივ თვალთვალს უკავშირდებოდა, შესაბამისად გაერომ, მიიღო ორი რეზოლუცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ. რეზოლუცია გმობს მასობრივ თვალთვალს და ხაზს უსვამს იმ უარყოფით ფაქტორებზე, რომელიც პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებაზე ახდენს გავლენას.

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომლის მე-8 მუხლი ხელისუფლების მხრიდან პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვას მართლზომიერად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ იგი უნდა გამომდინარეობდეს დემოკრატიული საზოგადოების მიზნებიდან და მისი ძირითადი ამოცანების განხორციელების აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, შეიძლება პირობითად დავყოთ 2 ჯგუფად: 1. უფლებები, რომელთა შეზღუდვა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე შეუძლებელია და 2. უფლებები, რომელთა შეზღუდვაც შესაძლებელია გარკვეული წინაპირობების გათვალისწინებით. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამომწურავად არ განმარტა პირადი ცხოვრების კონცეფცია და თავის გადაწყვეტილებებში, მხოლოდ გარკვეულ საკითხებზე გააკეთა აქცენტი. (11) კერძოდ, საქმეში Malone v. the United Kingdom სასამართლომ დაადგინა,რომ არ იყო ზუსტად განსაზღვრული ხელისუფლების ორგანოების დისკრეციის საკითხი-სატელეფონო საუბრების მოსმენასთან დაკავშირებით, ვინაიდან, იგი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას და მისი შეცვლა შესაძლებელი იყო ნებისმიერ დროს. რაც უკვე მე-8 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა. (12) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, უფლებაში ჩარევა უნდა იყოს კანონის შესაბამისი. ამავდროულად განჭვრეტადი და ხელმისაწვდომი პიროვნებისათვის. (13)

პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია ადამიანის კერძო სფერო, აგრეთვე ადამიანთა უფლება, ერთმანეთთან ჰქონდეთ სხვა ადამიანების კონტროლისა და თვალთვალისგან თავისუფალი ურთიერთობა. აღნიშნულ ფაბულაზე მითითებით, არსებითად მარტივდება პირადი ცხოვრების უფლების მოაზრება თავისუფალი განვითარების უფლების ქვეშ, იმდენად, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას პირად, კერძო სფეროში, გარეშე პირთა, მათ შორის, სახელმწიფოს

ჩარევისგან თავისუფალ სივრცეში გასცეს და მიიღოს ინფორმაცია, უზრუნველყოს შთაბეჭდილებებისა და მოსაზრებების გაზიარება და სხვა დაკავშირებული მოქმედება-აქტივობები. ეს უფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის თავისუფლების, თვითგამორკვევისა და თვითრეალიზაციისთვის.

IV.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და მასში განხორციელებული ცვლილებები

ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი რეალურ დროში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებაა. ამ თვალსაზრისით, დასახული ამოცანების მიღწევა და განხორციელება საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის ცვლილების გარეშე შეუძლებელია.

2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მუშაობა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე,(14) რომლის მიზანიც იყო, ისეთი კანონმდებლობის შექმნა, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობის, თანასწორობის, საჯაროობისა და სხვა ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის მქონე პრინციპებზე იქნებოდა ორიენტირებული. ყველაზე არსებითი სიახლე კანონპროექტიდან გამომდინარე იყო საგამოძიებო მოქმედებებად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გარდაქმნას და ასევე, მკაცრი სასამართლო კონტროლის დაწესებას, ყველა იმ ღონისძიებაზე, რომელიც ყველაზე მეტად აღწევს ადამიანის პირად ცხოვრებაში. 2006წ. 2 მარტის მდგომარეობით არსებული სსსკ პროექტით (მუხ.158-166) (15) განმარტებული იყო ფარული საგამოძიებო მოქმედების ცნება და სახეები, მათი განხორციელების წესი და პროცედურა. ასევე იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც შესაძლებელი იყო ასეთი სახის მოქმედების გამოყენება, მათ შორის იყვნენ: სასულიერო პირი, ადვოკატი, ჟურნალისტი, იმუნიტეტის მქონე პირი, თუ აღნიშნული არ უკავშირდებოდა კანონით დაცულ მათ საქმიანობას. (16) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წინაპირობად კი, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი დადგინდა. თუმცა, 2009 წლის 16 ივლისის კანონპროექტის 138 - ე მუხლით, ნაცვლად არსებული გონივრული ეჭვის სტანდარტისა, ფარული საგამოძიებო მოქმედების წინაპირობად განისაზღვრა დასაბუთებული ვარაუდი.(17)

მიუხედავად ცვლილებისა, არსებობდა უამრავი გარემოება, რომელიც სრულფასოვნად ვერ აკმაყოფილებდა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რის გამოც კვლავ არაერთი ცვლილება განიცადა, როგორც კანონპროექტმა, ისე ძალაში შესულმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ. მაგ: 2014 წლიდან

შევიდა არაერთი ცვლილება, ვინაიდან, მიიჩნეოდა, რომ კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა ოპერატიულ - სამძებრო საქმიანობისას გამჭირვალე გარემოს შექმნას, სასამართლო კონტროლის ეფექტურ განხორციელებასა და ამ პროცესში ადამიანის უფლებათა ჯეროვან დაცვას, (18) აქედან გამომდინარე თავიდან იქნა შემოტანილი ფარული საგამოძიებო მოქმედების მარეგულირებელი სტანდარტი. აღნიშნული ცვლილებით, განისაზღვრა ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გაცილებით მაღალი სტანდარტი, ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი გარანტიები და მისი ჩატარების როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური წინაპირობები.(19)

2015 წლის 31 მარტიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უკვე ითვალისწინებდა ორეტაპიან ელექტრონულ სისტემას, (20) რომელიც გულისხმობდა, როგორც ტექნიკური, ისე პროგრამული ხასიათის მოქმედებათა ერთობლიობას, რაც გამორიცხავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობისა და სასამართლოს განჩინების გარეშე, ფარული მიყურადების დაწყებას. (21) აღნიშნულ რეგულაციას, ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეებიც, ვინაიდან მის საფუძველზე ინსპექტორი პროცესის აღმასრულებლად იქცეოდა და არ იქნებოდა ნეიტრალური მაკონტროლებლის ფუნციების განხორციელებისას. გარდა ამისა, ინსპექტორის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. 2016წ. სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელთაც სხვა მუხლებთან ერთად მოითხოვეს, 143^3 მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა. (22) სსსკ- ის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სახელმწიფო ორგანო და მის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი, 143^3 მე-4 ნაწილის თანახმად, იყენებდა კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკურ შესაძლებლობას, ასევე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებდა და ამონტაჟებდა, როგორც შესაბამის აპარატურას, ისე, პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობებს.(23)

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, როგორც სსსკ-ის 143^3 მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი, ისე მუხლის მე-4 ნაწილი და ამით დააკმაყოფილა მოსარჩელეთა

მოთხოვნა.(24) სასამართლომ, ასევე არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილება ტექნიკური წვდომა ჰქონოდა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან, რაც განაპირობებდა კომუნიკაციის მონაცემთა შეგროვების და მონიტორინგის შეუზღუდავ შესაძლებლობას. (25)

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ,,უფლების დარღვევის რისკები თავისთავად იზრდება, როდესაც ინფორმაციის რეალურ დროში მოსაპოვებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (ან გამოძიების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანო) იმავდროულად ფლობს და ადმინისტრირებას უწევს ტექნიკურ საშუალებებს, განათავსებს შესაბამის აპარატურას უშუალოდ საკომუნიკაციო არხთან/სერვისის მიმწოდებელთან, რაც საბოლოო ჯამში მას პირთა განუსაზღვრელი წრის მოსმენის შესაძლებლობას აძლევს. ასეთ პირობებში სახელმწიფოს განსაკუთრებით მოეთხოვება პროცესის დამაჯერებელი გამჭვირვალობისა და კონტროლის რეალურად ეფექტური მექანიზმების დემონსტრირება, რომელთა არარსებობა ან არასაკმარისობა სწორედ სახელმწიფოს წარმოაჩენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისთვის მთავარ საფრთხედ, უფლების დარღვევის წყაროდ.'' (26)

საკონსტიტუციო სასამართლომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის მექანიზმიც არაეფექტურად მიიჩნია, რაც არ გამოირიცხებოდა მისი გვერდის ავლით ფარული სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადებას, რადგან ინსპექტორი, მხოლოდ მართლზომიერი მენეჯმენტის სისტემის აქტივაციაზე აძლევდა თახმობას, აღნიშნულიდან გამომდინარე კი, ინსპექტორს არ ჰქონდა უფლება გააეკონტროლებინა სხვა სათანადო აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით სატელეფონო მოსმენები. (27)

იმისათვის, რომ ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე არ მომხდარიყო სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება, დამკვიდრდა ე.წ. ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემა, თუმცა, ის პრაქტიკაში ეფექტური არ აღმოჩნდა და დადგინდა რომ ეს სისტემა ეფექტური მხოლოდ ინსპექტორისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით შეიძლებოდა ყოფილიყო ეფექტური და ის ვერანაირად ვერ უზრუნველყოფდა ყველა სატელეფონო მიყურადების განხორციელებას, მხოლოდ ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის საფუძველზე.(28)

ინსპექტორი მასთან მიწოდებულ ინფორმაციაზე აძლევდა ელექტრონულ თანხმობას და მხოლოდ მასზე ახდენდა შემდგომ კონტროლს. თუმცა, ეს სქემა - ტექნიკურად ვერ გამორიცხავდა, უფლებამოსილი ორგანოს მოქმედების შესაძლებლობას, ინსპექტორის მიღმა.

(29)

ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემა გაუქმდა შემდგომ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად (30) და პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორს, ფარული საგამოძიებო მოქმედების, კერძოდ, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შეჩერების უფლება მიეცა კონტროლის ელექტრონული სისტემით.ამვდროულად, განმარტებით ბარათში არა ერთხელ ხაზი გაესვა იმას, რომ იგი იქნებოდა დამოუკიდებელი და პროფესიული ინტერესის არ მქონე ორგანო, არ ექნებოდა საგამოძიებო, სადაზვერვო ან კონტრსადაზვერვო ფუნქციები და ამ თვალსაზრისით არ იქნებოდა პროფესიულად დაინტერესებული, მოეპოვებინა მეტი ინფორმაცია. (31) ამ ეტაპზე, ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ფარულ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესის ფარგლებში.

V. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური და ამავდროულად არსებითი ნაწილია. იგი იჭრება ადამიანის პირად სივრცეში, კერძოდ, კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით მჭიდროდ აღიარებულ და დაცულ ფუნდამენტურ უფლებაში, პირად ცხოვრებასა და პერსონალურ მონაცემებში, რომელიც ფაქტობრივად ერთ მთლიანობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე მისი დაცვა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება, ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ისინი მოითხოვენ მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილების გაზრდას და მისი ქმედითობისათვის უფრო მეტი თავისუფლების მინიჭებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა უკანასკნელ პერიოდში, თუმცა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სრულფასოვნად განხორციელების კუთხით,იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული ადამიანის უფლებები, კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი,მათ შორის მრავალი სამუშაო აქვს ჩასატარებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს, რათა მისი ფუნქცია უფრო რეალური და ქმედითი იყოს.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია; https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0
2. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი., ავტ. კოლ., თბ., 2013., გვ.180. http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf
3. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები., მეორე გამოცემა., თბ.,2008. გვ.157 https://www.sjuni.edu.ge/ebiblioteka/images/books/ %20ziritadi%20uflebebi%20-%20kublashvili.pdf
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი., https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=150
5. ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)., თბ., 2018.
6. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები., 1979.გვ.223-224.
7. ალადაშვილი ბ., სპეცსამსახურები და შპიონაჟი, წიგნი 1, თბ.,2005.ალადაშვილი, ბ., სპეცსამსახურები და შპიონაჟი, წიგნი 2., თბ.,2007.
8. საქართველოს 1921წლის კონსტიტუცია., მუხ.28., 29.
9. ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2018.
10. გაერო, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია., 1948წლის 10 დეკემბერი
11. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა., 2017. https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/piradi-da-ojaxuri-cxovrebis-pativiscemis-upleba-da-saxelmwipo-valdebulebebi.pdf
12. კილკელი უ.,პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, თბ., 2005. https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/article8.pdf
13. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ფარული მიყურადების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შეფასება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტების მიხედვით., 2013. https://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/%E1%
14. განმარტებითი ბარათი, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110622.გვ.1
15. კანონპროექტი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110621.გვ.62-65
16. კანონპროექტი 162-ე მუხლის პირველი ნაწილი;
17. კანონპროექტი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/110614,[ნანახია 20.11.2022] 138-ე მუხლის პირველი ნაწილი.

18. განმარტებითი ბარათი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების
შეტანის შესახებ კანონის პროექტზე,გვ.13,,[ნანახია 12.11.2022]
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება
20. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების
შეტანის შესახებ , 332^3 მუხლი; https://matsne.gov.ge/ka/document/view/2593029?publication=0[21.11.2022].
21. სსსკ-ის 2017 წლის 22 მარტამდე მოქმედი მე-3 მუხლის 32-ე ნაწილი,,[21.11.2022].
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება
23. სსსკ-ის 2017 წლამდე არსებული რედაქცია;
24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილებაIII,პ.9.
25. ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით),თბილისი,2018,245.
26. საკონსტიტუციო სასამართლოს განწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი II,18, < https://matsne.gov.ge/ka/document/view/3982960?publication=0 > [21.11.2022].
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე;II,68.
28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე;II,68.
29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625 გადაწყვეტილება საქმეზე;II,68.
30. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 22.03.2017 წლის მდგომარეობით;
31. პარლმანეტის განმარტებითი ბარათი;
https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141415?;